

კომუნიკაცია

თქვენი ბავშვის კომუნიკაციური უნარი კიდევ უფრო უმჯობესდება. მან უკვე იცის თუ როგორ ესაუბროს ნაცნობ ადამიანებს. შეუძლია როგორც საუბრის წამოწყება, ასევე კითხვებზე პასუხის გაცემა. მისი ლექსიკური მარაგი სულ უფრო სრულყოფილი ხდება. საუბრის დროს იყენებს რთულ წინადადებებს. ხუმრობს და ერთობა საკუთარ ხუმრობებზე.

ცხოველების გამოცნობა

ამ თამაშში მონაწილეობა ოჯახის ყველა წევრს შეუძლია: ჟურნალიდან ამოჭერით ცხოველების სურათები. გადააბრუნეთ სურათები უკუღმა. ერთ-ერთი მონაწილე ირჩევს სურათს და მეორე ცდილობს გამოიცნოს თუ რა ცხოველია სურათზე, რისთვისაც სვამს მსგავს შეკითხვებს: „ეს ცხოველი წყალში დაცურავს? ის კატაზე დიდია? მცენარეებით იკვებება?“ როდესაც გამოიცნობი სწორად მიხვდება, როლები იცვლება.

მოგონებები ძილის წინ

ყოველ ღამე, ძილის წინ, წამოიწყეთ მშვიდი საუბარი თქვენს ბავშვთან. ჩურჩულით ჰკითხეთ: „დღეს ყველაზე მეტად რა გაგიხარდა?“ ასევე დაინტერესდით, სხვა რა მოხდა. გაუზიარეთ თქვენი მოსაზრებებიც.

მოთხრობის წაკითხვა

წაუკითხეთ თქვენს ბავშვს ყოველდღე. წაუკითხეთ ნელა, ინტონაციის ცვლილებით და მხატვრულად. თითო გააყოლეთ სიტყვებს. პერიოდულად შეწყვიტეთ კითხვა და გაესაუბრეთ ნახატისა და მონათხრობის შესახებ: „ვინ არის შენი საყვარელი გმირი? რა მოხდა ამბის შუა ნაწილში?“ კითხვის დრო აქციეთ ერთად ყოფნის განსაკუთრებულ წუთებად!

მთვარის შუქი

მთვარიან ღამეს მოძებნეთ ისეთი ადგილი, საიდანაც მთვარე და ვარსკვლავები კარგად გამოჩნდება. შეეცადეთ, გააღრმავოთ ბავშვის წარმოსახვა: „რას ხედავ? შეგიძლია ვარსკვლავები ისე შეაერთო, რომ რაიმე ნახატი გამოვიდეს? რას ფიქრობ, რა ხდება მთვარეზე? იქ რომ იყო, რას გააკეთებდი? რას იგრძნობდი, ასე შორს რომ იყო დედამიწისგან?“

მუსიკალური ბენდი

იმდეროს ბავშვმა რომელიმე საბავშვო სიმღერა და თან დაუკრას დოლზე, ქვებზე ან რაიმე კოლოფზე. დაამატეთ სხვა „ინსტრუმენტებიც“: ზარი, კოვზები, პლასტმასის კოლოფი, რომელშიც პატარა სათამაშოებია ჩაყრილი და სხვა. ჩართედ მისი მეგობრებიც ამ ხმაურში.

ოფისი

მოუწყვეთ ოფისი თქვენ ბავშვს. გამოიყენეთ დღიური, სათამაშო ტელეფონი, ძველი კლავიატურა, ფანქრები, საწერი კალმები, სახაზავი, კალკულატორი, კალენდარი. შესაძლებლობის მიხედვით დაამატეთ კონვერტები, ქაღალდები სტიკერები. წარმოიდგინოს ბავშვმა ვითომ ის სამსახურში მიდის, წერილს წერს, მესიჯს აგზავნის, ინიშნავს მნიშვნელოვან ინფორმაციას. თქვენც ჩაერთეთ ამ თამაშში. დაურეკეთ ტელეფონზე და შეეკითხეთ: „წერილი გამომიგზავნე?“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

მსხვილი მოტორიკა

თქვენი ბავშვის ფიზიკური განვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. წონასწორობას ინარჩუნებს ცალ ფეხზე დგომის ან ვიწრო ფიცარზე გავლისას. ის სწავლობს გადახტომას, ცალ ფეხზე ხტუნვას. მოსწონს სროლა, დაჭერა, ბურთზე ფეხის დარტყმა. შეუძლია პატარა ველოსიპედის ტარება. ყურადღება მიაქცევთ, რომ რაიმე არ დაიშავოს!

ქვა და მდინარე

შეკრიბეთ რამდენიმე ბავშვი სათამაშოდ. ერთ-ერთი მონაწილე უნდა გაეკიდოს სხვა ბავშვებს დასაჭერად. ვისაც დაიჭერს, ის იქცევა „ქვად“ (აღარ უნდა გაინძრეს). სხვა ბავშვის შეხებით „ქვა“ გადაიქცევა „მდინარედ“. „მდინარეს“ ისევ შეუძლია გაიქცეს, სხვა ბავშვი დაიჭიროს და აქციოს „ქვად“. ეს კარგი ვარჯიშია.

ფოთლები

შემოდგომაზე პარკში ან ეზოში ითამაშეთ ბავშვთან ერთად ფოთლებით. შეეცადეთ დაიჭიროთ ფოთოლი, როდესაც ის ხიდან ვარდება. შეაგროვეთ და დაახარისხეთ ფოთლები ფერის, ზომის და ფორმის მიხედვით. გააკეთეთ ფოთლების გროვა. დაეღვენეთ ერთმანეთს ამ გროვის ირგვლის, ჩახტით გროვაში ან გადაახტით მას.

წყლით თამაში

ზაფხულის ცხელ დღეს მოიმარაგეთ დიდი ზომის ღრუბლები და წყლის სათლები. გაყავით ბავშვები ორ ჯგუფად. დადგით ორ-ორი სათლი საპირისპირო მხარეს. ერთ-ერთ მხარეს დადგმული სათლი აავსეთ წყლით. მოაწყვეთ ბავშვთა შეჯიბრი: ბავშვებმა უნდა დაასველონ წყლიან სათლში ღრუბელი, შემდეგ მიიტანონ ეს წყლიანი ღრუბელი ცარიელ სათლამდე, გამოწყრონ წყალი და აავსონ სათლი. ვინც პირველი აავსებს თავის სათლს, ის გუნდი გაიმარჯვებს.

ლენტებით ცეკვა

მოჭერით 1-1,5 მეტრის სიგრძის ლენტი. აჩვენეთ ბავშვს, როგორ უნდა ამ ლენტით ცეკვა, დახატეთ ფიგურები ჰაერში, სცადეთ წრეები და კვადრატები, ზემოთ და ქვევით მოძრაობები, დახატეთ რვანი. ასევე, სცადეთ ცეკვა ორივე ხელში ლენტით. იმოძრავეთ ამ ლენტებით. ჩართედ მუსიკა და იცეკვეთ ლენტების ცეკვა, იხტუნეთ, ირბინეთ, იარეთ.

ცხოველების თამაში

გადააბრუნეთ ცხოველების სურათები უკუღმა და ამოარჩიეთ ცხოველი გამოსაცნობად. განასახიერეთ ის ცხოველი, რომელსაც ამოირჩევთ. ბავშვმა უნდა გამოიცნოს, რომელი ცხოველი ხართ. თუ კენგურუ ხარ, მაშინ იხტუნეთ. თუ ლეოპარდი ხართ, უნდა გაიქცეთ. მოიქცით ჟირაფით, იარეთ ყელმოღერებულმა და ფეხის წვერებზე.

დაიჭირე!

ამ მხიარული თამაშისთვის მოიმარაგეთ ბურთი, პატარა ბალიში, რბილი სათამაშო, ფეხსაცმელი და პატარა კოლოფი. დაახლოებით 1 მეტრის მანძილიდან ესროლეთ ბავშვს თითოეული ნივთი. ნახეთ, შეძლებს თუ არა ყველას დაჭერას. გაზარდეთ მანძილი 2 მეტრამდე.

ბოულინგი ბოთლებით

შეაგროვეთ ერთნაირი ზომის 6 პლასტმასის ბოთლი. თითოეულში ჩაყარეთ ერთი მუჭა ბარდა ან ლობიო და კარგად დაახურეთ თავი. დაალაგეთ ბოთლები ბოულინგის წესით: სამი ბოთლი უკანა რიგში, ორი ბოთლი - შუა და ერთი ბოთლი - წინა რიგში. აჩვენეთ ბავშვს სად დადგეს, დაახლოებით 1-1,5 მეტრის მოშორებით და გააგოროს საშუალო ზომის ბურთი. სცადოს რამდენიმეჯერ, სანამ ყველა ბურთს არ წააქცევს: „ყოჩად, შენ ყველა წააქციე!“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

ნატიფი მოტორიკა

თქვენი ბავშვი უფრო უკეთ აკონტროლებს თითების მოძრაობას, რაც სწრაფი და კოორდინირებულია. მაკრატილით ჭრის სხვადასხვა ფორმებს და უფრო კარგად შეუძლია დილების და ფეხსაცმლის თასმის შეკვრა. შესაძლოა იცოდეს საკუთარი სახელის დაწერა. ერთ ხელს (მარჯვენას ან მარცხენას) გამორჩეულად აქტიურად იყენებს.

ბარათების ზონრით შეკვრა	თქვენ ბავშვს უსაფრთხო მაკრატილით ამოჭრევენეთ სურათები ჟურნალიდან და დააწებოს ისინი მუყაოს ქაღალდზე. მუყაოს თავისუფალი კიდეები დახვრიტეთ. ერთ-ერთ ხვრელში გაუყარეთ ზონარი, მეორე ბოლოში დაამაგრეთ ზონრის ძირი. აჩვენეთ ბავშვს, როგორ უნდა ამ ზონრით ამოკემსვა კიდის ირგვლივ ხვრელებში. ასევე, შეუძლია ორი ბარათი მიაკეროს ერთმანეთს.
სურათის ჩარჩო	მიეხმარეთ ბავშვს გააკეთოს ჩარჩო თავისი საყვარელი ნახატისთვის. გამოჭერით ორი მართკუთხედი მაგარი ფურცლისგან. ერთი მათგანი უნდა იყოს ოდნავ დიდი ზომის, ვიდრე ნახატია. მეორეს უნდა ჰქონდეს ნახატზე ოდნავ პატარა ზომის შიდა კიდეები. შედარებით პატარა ჩარჩო მორთოს ბავშვმა სტიკერებით, ბისერებით, ნიჟარებით, მაკარონით და სხვა პატარა ზომის ნივთებით. დააწებებინეთ სურათი დიდ ჩარჩოზე, შემდეგ მოათავსეთ გაწყობილი ჩარჩო სურათის ზემოდან და შეაწებეთ ბოლოები. მშვენიერი ჩარჩოა!
ჩიტების კაფე	მომეხმარეთ საშუალო ზომის გირჩა ან სიმინდის ტარო. პლასტმასის დანით წაუსვას ბავშვმა მას კარაქი. ამოავლებინეთ ჩიტების საკვებში ან მხესუმშირაში. ჩამოვიდეთ თოკით ხეზე ან გარეთ, ფანჯარაზე. დაელოდეთ ჩიტებს, სანამ ისინი თქვენს საჩუქარს აღმოაჩენენ. დაითვალეთ, რამდენი ჩიტი მოვა ჩიტების კაფეში.
რუკის შედგენა	შეადგინეთ თქვენი უბნის რუკა. გადით სასაქონლოდ და ყურადღება მიაქციეთ ხეებს, შენობებს, პარკებს და სხვა ორიენტირებს. მარკერით დახატეთ რუკა ფურცელზე: ჯერ თქვენ დაიწყეთ და შემდეგ ბავშვმა გააგრძელოს. თავიდან დახატეთ თქვენი სახლი ან ბავშვის ოთახი. ჰკითხეთ: „სად ავლნიშნოთ შენი საწოლი რუკაზე? შენი სათამაშოების ყუთი?“
ფორმების გამოჭრა	ფურცელზე ფანქრით დახატეთ სხვადასხვა ფორმები: წრეები, სამკუთხედები. უსაფრთხო საბავშვო მაკრატილით გამოაჭრევენეთ ბავშვს ეს ფორმები. როდესაც ამათ გამოჭრას კარგად ისწავლის, შემდეგ უფრო დიდი და რთული ფორმები დაუხატეთ. დახატეთ რთული ფორმები, მაგალითად, დათუნია ან მატარებელი.
ქანდაკების შექმნა	შექმენით ქანდაკება თქვენ ბავშვთან ერთად. გამოიყენეთ სხვადასხვა მასალა: პლასტმასის ბოთლები, გაზეთები, პატარა ტოტები, ბოთლის თავსახურები, ერთჯერადი თეფშები, ნაყინის ჯოხები, კოლოფები, პლასტმასის ჭურჭელი, ლენტის ნაგლეჯები, ნაჭრები. მიეცით ბავშვს ფერადი ლენტები, პატარა მავთული, წებოიანი ლენტი, წებო, რომ ეს მასალა ერთმანეთს მიამაგროს. გამოუყავით სპეციალური ადგილი, სადაც ამ მასალას მოათავსებთ, ბავშვს ექნება საშუალება იმუშაოს ქანდაკებაზე და მისი ნამუშევარი გაშრება.
ხილი-ადამიანი	დაჯექით მაგიდასთან, აიღეთ ბანანი ან ყვითელი ვაშლი, აჩვენეთ თქვენ ბავშვს, როგორ დაახატოს სახე, თვალები, ცხვირი, თმები. ჩააცვით ტანსაცმელი. გაერთეთ ბანანის/ვაშლის მორთვაში. ბოლოს გაფცქვენით და მიირთვით!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პრობლემის გადაჭრა

თქვენს ბავშვს შეუძლია 15-მდე დათვლა და სულ მცირე 10 საგნის გადათვლა. მას შეუძლია შეასრულოს მითითებები ჯგუფურ თამაშში და იცავს წესებს სახლსა და ბაღში. მას უყვარს წარმოსახვითი, ვითომ-ვითომ თამაშები და ასრულებს სხვადასხვა როლურ თამაშებს მეგობრებთან ერთად. გიჟური ისტორიების მოყვლა და გაზვიადებები მისთვის ჩვეული გართობაა. მას უყვარს წიგნების კითხვა და შეუძლია მარტივი ტექსტების დამახსოვრება. ის უკვე იგებს, რა ხდება სამყაროში, აინტერესებს რატომ ხდება ის, რაც ხდება და რატომ არის ის ისეთი, როგორც არის.

სახალისო კრეკერი

ცომისგან გააკეთეთ სხვადასხვა ციფრები და ასოები: დაიბანეთ ხელები, დაჭერით ცომი ზოლებად და დაეხმარეთ ბავშვს, გააკეთოს ციფრები ან ასოები ცომისგან. შემდეგ ასწავლეთ, როგორ უნდა ათქვეფილი კვერცხის გულის ჯაგრისით წასმა, მარილის მოყრა და გამოცხობა სანამ ოქროსფერი არ გახდება. გაახმოვანეთ ის ასოები, რაც მან გამოაცხო. შეჭამეთ ასოები და ციფრები.

საკვების გაფერადება

ჩაატარებინეთ ბავშვს ექსპერიმენტი საკვების გაფერადებაში. ამისთვის კულინარიული საღებავის მხოლოდ პატარა წვეთებია საჭირო! შედეგით შემწვარი კვერცხი ლურჯად. შედეგით ერთი ჭიქა რძე წითლად. დაუმატეთ ერთი მწვანე წვეთი ვაშლს ან პურს სანამ ტოსტერში ჩადებთ. შედეგით კარტოფილის პიურე ყვითლად. ჰკითხეთ სხვა იდეები ბავშვს.

რამდენ ხანს? რამდენი?

დაითვალეთ, რამდენ ხანს ან რამდენჯერ შეძლებს თქვენი ბავშვი ისეთი ახალი მოქმედების გაკეთებას, როგორც არის ცალ ფეხზე დგომა ან ბურთის აკენწვლა. ახალი ნასწავლი უფრო დიდხანს აკეთოს. დაათვლევინეთ, რამდენ ხანს შეძლებთ თავზე წიგნის გაჩერებას. ავარჯიშეთ ბავშვი ახალ უნარებში და დათვლაში.

ზღაპრის წარმოდგენა

მოუყევით ბავშვს ზღაპარი სხვადასხვა გახმოვანებით, მიმიკით ან ქუდების გამოყენებით. განასახიერეთ სხვადასხვა გმირები. ახლა თქვენი ბავშვის ჯერი დადგა, რომ მოგიყვებოდეს. სთხოვეთ ბავშვს, შეასრულოს ვინმეს როლი. შეეცადეთ, იყოთ კარგი მსმენელი!

რა აკლია?

დაულაგეთ ბავშვს ხუთი ან მეტი სხვადასხვა სათამაშო და მიეცით ცოტა დრო, რომ დამახსოვროს ისინი. შემდეგ დამალეთ ერთ-ერთი და ჰკითხეთ: „რომელი აკლია?“ თავიდან შესაძლოა მინიშნებები დასჭირდეს. შემდეგ მან დაგიმალოთ სათამაშო, ახლა უკვე მისი ჯერია თქვენ მოგატყუოთ.

იპოვე განძი!

დაგეგმეთ ეს თამაში წინასწარ. დამალეთ „განძი“ (საყვარელი სასუსნავი, ფერადი ფანქრების ჩანთა, სტიკერები) ისეთ ადგილას, სადაც თქვენი ბავშვი მიწვდება. დაუხატეთ ის ადგილი, სადაც მან ეს განძი უნდა იპოვოს. ეს ნახატი უნდა იყოს მარტივი და გასაგები მისთვის. შეაქეთ, როდესაც ის განძს მიაგნებს.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პიროვნულ-სოციალური

თქვენს ბავშვს უკვე შეუძლია პირადი მოთხოვნილებების უმეტესობის დაკმაყოფილება. შესაძლოა შედარებით რთული ამოცანისთვის, მაგალითად თასმების შეკვრისთვის, თქვენი დახმარება დასჭირდეს. შეუძლია დამოუკიდებლად ჭამა და იცმევს დამოუკიდებლად. უყვარს სხვა ბავშვებთან თამაში და სხვებთან ერთად მომავალი თამაშის დაგეგმვა. აგვარებს კონფლიქტურ სიტუაციებს თავისი სიტყვებით.

პაემანი

წადით სავაზში ან კინოში თქვენს შვილთან ერთად. წასვლამდე მოემზადეთ. ბავშვმა ჩაიცვას განსაკუთრებულად, დაიბანოს ხელ-პირი, მოითავოს ტუალეტი და გამოიხეხოს კბილები. ჩაახედეთ სარკეში, რომ ნახოს რა კარგად გამოიყურება. შემდეგ იხალისეთ! იყავით ზედმეტად თავაზიანი. გამოიყენეთ სიტყვები „გეთაყვა“ და „გმადლობთ“ პაემანის დროს.

ხილის სალათი

მომზადეთ ხილის სალათი, გამოიყენეთ ბავშვის საყვარელი ხილი: ყურძენი, ბანანი, ვაშლი და ფორთოხალი. ის გაერთობა ხილის გარეცხვასა და გათლასში. შეუძლია ბანანის დაჭრაში მოგეხმაროთ პლასტმასის დანის გამოყენებით. დაამატეთ გემრიელობები: იოგურტი და მზესუმზირა. ბავშვი ივარჯიშებს კოვზისა და ჩანგლის გამოყენებაში სალათის გაკეთებისა და გადაღების დროს.

ბარათი გამხმარი ყვავილებით

ეზოში ან პარკში შეაგროვეთ ყვავილები, უმჯობესია პატარა და ნაზი ყვავილები. ჩადეთ ყვავილი გაზეთში ან პირსახოცში და დაადეთ ზემოდან სქელი წიგნი. დაელოდეთ რამდენიმე დღე, რომ ყვავილი გამოშრეს და გაბრტყელდეს. შემდეგ დააწებეთ ქაღალდზე და გააკეთეთ ბარათი. მიეხმარეთ ბავშვს, დაწეროს ბარათზე ვინმე განსაკუთრებული ადამიანისთვის.

112

ესაუბრეთ ბავშვს იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოიქცეს თუ დაიკარგება ან რაიმე განსაკუთრებული სიტუაცია შეიქმნება. ასწავლეთ თავისი ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი. ასწავლეთ ტელეფონზე 112-ის აკრეფა. ამ ინფორმაციის დასამახსოვრებლად შეგიძლიათ სიმღერა გამოიყენოთ. გაუკეთეთ სპეციალური ბარათი, სადაც ეწერება ბავშვის სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა ისეთი ინფორმაცია, რაც ასეთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო იყოს (მაგ.: თუ აქვს რაიმეზე ალერგია). შეუძინეთ საფულე, რომელსაც ჩაიდებს ჯიბეში ან ზურგჩანთაში და მუდმივად თან ატარებს.

მე თვითონ ჩავიცვამ

გამოყავით დამატებითი დრო დილით, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად ჩაცმა მოასწროს, თვითონ შეიკრას ღილები, შარვლის ელვა-შესაკრავი ან ფეხსაცმლის თასმები. მას დასჭირდება დახმარება და გარკვეული დრო, მაგარამ იყავით მომთმენი. რაც უფრო მეტს ივარჯიშებს, მით უფრო მალე შეძლებს დამოუკიდებლად ჩაცმას!

მე შენსავით, შენ ჩემსავით

თქვენ და თქვენმა ბავშვმა შეგიძლიათ გაცვალოთ როლები. მას შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ვითომ თქვენ გეხმარებათ ჩაცმაში ან თმის დავარცხნაში. ეს წარმოსახვითი თამაში მოიცავს ტანსაცმლის, ქცევების, ლექსიკონის და ჩვევების გაცვლას. შეინარჩუნეთ პოზიტიურობა და სიხალისე.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.